

მათემატიკა (MINOR)

<p>დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>მათემატიკა (Minor)</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ძალიან დიდია ინტერესი მათემატიკისა და ტექნოლოგიების მიმართ. საბუნებისმეტყველო, სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებები, ასევე პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფერო მოითხოვს ანალიტიკურ აზროვნებას, რეალური სიტუაციის მათემატიკურ მოდელირებას და პროგნოზირებას. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად მუდმივად იცვლება პროფესიული გარემო, ფართო პროფილის მათემატიკური განათლება შესაბამის გარემოსთან ადვილად ადაპტირების და წარმატებული კარიერის საფუძველს ქმნის.</p> <p>პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს თეორიული ცოდნა მათემატიკის სხვადასხვა დარგებში, გამოუმუშავოს ანალიტიკური აზროვნების, მათემატიკასა და სხვა დარგებში წარმოქმნილი თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გაგების, გაანალიზების, შეფასებისა და გადაწყვეტის უნარები.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ახდენს მათემატიკური ლოგიკის თეორიული საფუძვლების, ალგებრის, კლასიკური გეომეტრიის მეთოდების ცოდნის დემონსტრირებას და გეომეტრიულ ობიექტთა კლასიფიკაციას. აცნობიერებს დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის, დიფერენციალურ განტოლებათა ზუსტი და მიახლოებითი ამოხსნის და ალბათურ-სტატისტიკური მოდელების აგების მეთოდებს; ➤ სხვადასხვა ტიპის მათემატიკური ამოცანების გადაწყვეტისა და შედეგების წარმოდგენისთვის ახდენს სათანადო პროგრამული პაკეტებისა და დაპროგრამების ენების იდენტიფიცირებას; ➤ აცნობიერებს მათემატიკის კლასიკური და თანამედროვე მეთოდების გამოყენების საჭიროებას და მნიშვნელობას, როგორც მათემატიკურ, ისე არა მათემატიკურ დარგებში. <p>უნარები</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მათემატიკური მეთოდების გამოყენებით იკვლევს მათემატიკის და სხვა დარგების კონკრეტულ ამოცანებთან დაკავშირებულ მახასიათებელ მონაცემებს, აანალიზებს მათ,

	<p>მსჯელობს არგუმენტირებულად და აკეთებს სწორ დასკვნებს.</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებიდან განსაზღვრავს და ეუფლება საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებულ სფეროს.
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს შესაბამისად.</p> <p>შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები მითითებულია სათანადო კურსის სილაბუსში.</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა</p>	<p>პროგრამაზე დაშვებისთვის სტუდენტი ვალდებულია დარეგისტრირდეს დამატებით საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მეხუთე სემესტრიდან.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>დალი მახარაძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია:</p> <p>ტელეფონი: (+995)599958890</p> <p>ელ.ფოსტა: dali.makharadze@bsu.edu.ge</p>